№ 51 მარტის 8, პარასკევი. 1866—1885 მარტის 8, პარასკევი. № 51.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

ბამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული ფურცელი ერთ გვერდი 25 მანეთი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს აგზავნელს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლეგამდე 8 მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანეთი.

წლით ხელის-მოწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სალიტერატურო საღამო

ცხინვალში

შაბათს, მარტის 9-ას.

გორში

კვირას, მარტის 10-ს.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი: თავ. ვ. თუმანიშვილი და ბატ. სოფ. მგალობლიშვილი; ქართულ-რამატიული მაახიობნი: ქ.-ბ. ნატ. ბაბუნია-ცაგარლისა, ბბ. აწყურელი, ერისთავი, მოხევე და სხვანი.

საღამო შესდგება სცენათა და ლექსთა კითხვით, ქართული ხმების სიმღერით და ლეკურ-ჩაჩნურ-კინტოურის თამაშობით. (3—1)

გოგრის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი უმორჩილესად სთხოვს თავადთა და აზნაურთა გორის მაზრისა მობრძანდენ ქ. გორს აპრილის 14-ს, დილით ათ საათზედ გორის მაზრის კეთილშობილთა ჩვეულებრივს კრებაზედ. (3—1)

„ დროების“

ბატონებო!

ეს ერთი ამ ოცდა ორ წლის განმავლობაში, ოცდა ორ ნომერი „დროებისა“ ... ეს ... ეს ... ეს

სიტყვა მიღებულია ჩვენში და მისი სამაგიერო ქართულში არ მოიპოვება). ამ რიგად ახლანდელ ქართველს ეს ბრძოლა ამდაბლებს სულით და ჭრყვნის ზნეობით. ჩვენი პოეტები თუ უწინდელ ქართველს გვიხატავენ მამაც კაცად, რომელსაც ერთ ხელში უჭირავს თოხი და მეორეში ბასრი ხმალი, ახლანდელი ქართველი კი უნდა გამოგვიხატონ დაღონებულ კაცად, რომელსაც ერთ ხელში იგივე თოხი უჭირავს, მაგრამ მეორეში კი მტრის გამპობი ხმლის მაგიერ მეზობლის დამამხობელი არზა აქვს.

ყოველმა საზოგადოების მოკეთემ უნდა ისურვოს, რომ მართლ-მსაჯულების ამისთანა მოქმედება გასწორდეს. თუმცა ჩვენში დამყარებული სამართლის წესის ნაკლი მარტო მისი გვიანობა არ არის, მაგრამ გვიანობაც დიდი და უმთავრესი ნაკლია. ამისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ ეს ნაკლი თავს აიცილოს მართლ-მსაჯულებამ.

ჩვენი ხალხი, მართალია, შეეჩვია გვიანს სამართალს, მაგრამ ეს იმას კი არ ამტკიცებს, რომ ხალხი არ იტანჯებოდეს და არ სწუხდეს ამ გვიანობის გამო. შეჩეული ჭირის თვისებაც ეს არის: თუმცა ავადმყოფი უფრო მოთმენით იტანს ტკივილს, მაგრამ სხეული ამიტომ ნაკლებ კი არ ირღვევა.

რამდენად უმსგავსია ჩვენებური სამართლის გვიანობა მიუჩეველი კაცისათვის და როგორ უდრის მის თავში სამართლის უარყოფას, ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი, რომლის დამსწრე იყო ამ წერილის ავტორი. ერთმა ბელგიელმა ეაჭარმა გახსნა ბათუმში სავაჭრო სახლი და დაიჭირა საქმე ოდესელ ეაჭართან, მაგრამ მალე შენიშნა, რომ ოდესელი ურია ხელის არ დააყრიდა, თუ მალე მასთან ანგარიში არ გაესწორებინა. ანგარიშის გასწორების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ურიას უნდა მიეცა ბელგიელისათვის თორმეტი ათასი მანათი. ურია ამ ვალზე უარს არ ეუბნებოდა, მხოლოდ ბელგიელს სთხოვდა, რომ ან ვალის გადახდა ედროვებინა ორი წელიწადი, ან და ამ ჟამად ნახევარს დასჯერებოდა და სხვა დაეთმო ურიისათვის. ბელგიელმა მოინდომა სამართლით საქმის გათავება და მიიქცა სამსჯავროსადმი, რომლისაგან მოელოდა საქმის მსწრაფლად გადაწყვეტას. წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება და აღელვება, როცა დარწმუნდა, რომ სასამართლოს წესით საქმე უფრო გვიან გათავდებოდა, ვიდრე მისი მოპასუხე ჰპირდებოდა. მართლაც, რამდენს არ ეცადა, რომ საქმე ადრე დაენიშნათ, თუმცა ამისათვის წერილით და პირადაც სთხოვა სამსჯავროს თავს-მჯდომარეს, თუმცა მისმა ვექილმაც თავი გამოიდო, თუმცა საქმეც დანიშნული იყო შემოკლებულ წესით საწარმოებლად, მაგრამ პირველი სხდომა სამსჯავროსი ამ საქმის თათბაზე მაინც არ დანიშნა მეშვიდე თვემდე. ვიდრე ამ პირველი სხდომის დღე მოახლოვდებოდა, მოპასუხე უგზავნიდა ბელგიელს მოციქულებს და უთვლიდა: «ხომ ხედავო, რომ სასამართლოს წესით სამართალი იქნება სამ წელიწადშიაც არ გელირსოსო, რადგან მე მოვინდომებ, რომ პირველად შესდგეს დაუსწრებელი განჩინება, შემდეგ მოწმებს დავასახელებ და ამ ნაირად ხუთ სხდომას მაინც მოვანდომებ მაგ საქმესაო, ისე რომ, სულ ჩქარა წავიდეს საქმე, ორ წელიწად ნახევარზე მაინც ადრე არ გათავდებაო პირველ ინსტანციაში და სანამდის მეორე ინსტანციაში გადავიდოდეს და იქ გათავდებოდეს, მანამ უსათუოდ სამი წელიწადიც გავაო». ბელგიელი დარწმუნდა, რომ მართლა ეგრე უნდა დაგვიანებულიყო და შეუთვალა: „შენც წყალმა წაგიღოს და შენებური სამართალიცაო! მომეცი, რასაც იძლევი და დანარჩენი ჩემი ჭკუის სწავლების სანაცვლოდ იყოსო“. ბელგიელი დასჯერდა, რაც ურიამ მისცა; საქმე მოსპო და გასწია თავის ქვეყნისაკენ. რა შთაბეჭდილებით წავიდოდა ის თავის ქვეყანაში, მკითხველი ადვილად მიხვდება...

ჩვენდა სასიამოვნოდ, ეს ორი წელიწადია, რაც ქაეკასიის მთავრობა სრულებით დარწმუნდა, რომ ჩვენში სამართალი მეტის-მეტად გვიანია და საქმე რომ აგრე წავიდეს, სამართალს მართლა დაეკარგება ხალხის პატივისცემა. ამისათვის მთავრობას თითქმის გადაწყვეტილი აქვს სასამართლო მოსამსახურეების რიცხვის გამრავლება. მაგრამ ხაზინის ახლანდელი მდგომარეობის გამო ეს რიცხვი იმდენად არ მრავლდება, რამდენად მიუკილებლად საჭიროა.

ამისათვის ჩვენ გვინდა დავასახელოთ აქ ერთი წყარო, რომელიც მისცემს მთავრობას სასამართლოების კიდევ უფრო გამრავლების საშუალებასა. ეს საშუალება არის მომრიგებელ-შუამავლების რიცხვის შემცირება. რომ მომრიგებელ შუამავლების რიცხვი მეტის მეტია ჩვენში, ეს ფაქტი ჩვენ ყველასაგან ცნობილად მაგვაჩნია და ამიტომ ამის დამტკიცებისათვის საუბარს არ გავაგრძელებთ. ყველამ იცის, რა ცოტას შრომობენ ჩვენნი მომრიგებელნი შუამავალნი; ყველამ იცის, რომ ზოგიერთნი მათგანნი სრულებითაც არ ცხოვრობენ თავიანთ მაზრებში. ამის მიზეზი ერთის მხრით ის არის, რომ საკმაო საქმე მართლაც არა აქვსთ, რასაც ცხადად დავინახავთ, თუ შევადარებთ მათს რიცხვს მომრიგებელ მსაჯულების რიცხვთან. მართლაც, მაშინ როცა მომრიგებელი შუამავლები პირველად სამ-სამი და ოთხ-ოთხი იყვნენ დანიშნულნი ყოველ მაზრაში, მომრიგებელი მსაჯული კი თითო იყო დანიშნული ყოველ მაზრაშივე, თუმცა მომრიგებელ მსაჯულებს ერთი სამად და ერთი ხუთად მეტი უნდა ჰქონოდათ საქმეები, რადგან მათ ექვემდებარება არა მარტო გლეხების და მათ მებატონეების შორის დავა, არამედ უმეტესობა იმ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებისა, რომელიც აღიძრება ხოლმე მაზრაში ყველა წოდებათა შორის. პირვანდელზე თუმცა დღეს მომეტებულია მომრიგებელ მსაჯულების რიცხვი, მაგრამ მომრიგებელ შუამავლების რიცხვი მაინც აღემატება მას, მაგალითად: ქუთაისის გუბერნიაში შორაპნის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში სამ-სამი მომრიგებელი შუამავალნი არიან და მომრიგებელი მსაჯულები კი ორ-ორნი. რაჭაში მომრიგებელი მსაჯული ერთია და მომრიგებელი შუამავალი კი ორი.

ამ ანგარიშისათვის ჩვენ იმიტომ ავიღეთ ქუთაისის გუბერნია, რომ იქ მეტია მომრიგებელ შუამავლების რიცხვი

ხი დიდი, პატარა, ქალი, კაცი — ყველანი მოდიან მიცვალებულის სატირლად, საფლავამდე გასაყოლად და შემდეგ სადილის საჭმელად.

მოგროვდა ხალხი სატირლად. მიცვალებული სახლში ასვენია, მას გარშემო უსხედან ჭირისუფალნი: ოჯახის წევრნი, სახლი კაცები, სიძეები, მათი შვილები, საზოგადოდ მახლობელნი ნათესავნი. ამათში მამა-კაცები თმა მოკვეცილნი, უსარტყლო, უქუდო და წვერ-მოპარსულნი არიან, ქალები კი თავ-შიშველნი, თმა გაწეწილნი და ძაძებში (შავებში) (სადაც შავები არა აქვთ, იქ ამის მაგიერობას სწევს გადმობრუნებული ცხვრის ქურქები). მიცვალებულს კაცებზე უწინ იტირებენ ქალები. ამათ წინ მიუძღვის ერთი „მომტირალი“ ქალი (მუგვანე), გამოცდილი, რომლის განსაკუთრებითს ხელობასაც შეადგენს ნაჩვენები საქმე. შესვლისათანავე მიცვალებულთან ეს მომტირალი დაჯდება მიწაზე, მიცვალებულის ახლო; გარს მოეხვევიან საზოგადოების ყველა ქალები, მჯდომარენი აგრეთვე მიწაზე. მომტირალი ქალი მოთქმით დასტირის მიცვალებულს დაახლოებით ამ ნაირად:

«ოჰ! ჩემი დღე (მოგემატოს) შენ! (სახელს ახსენებს). ვაი! შავო ჩვენო ბედო, რომ დღეს შენ მკვდარსა გხედავთ! შენ სახელოვანო და ახოვანო, შენ შენი საზოგადოების მასახელებელო და შენის თემის კოშკო (ბურჯო), შენ საზოგადოებისთვის თავ-განწირულო და შენი თემისთვის თავ-დაუზოგველო, შენი ცოლ-შვილის (თუ ჰყავს) სიცოცხლევ და მონათესავეთა დიდო ნუგეშო, შენ შენი სოფლის და ეკლესიის ერთგულო, მტრის დამამარცხებელო და არაოდეს დაჩაგვრის, სირცხვილის შემრჩენელო და სხვა-და-სხვა». ამის მერმე მომტირალი ქალი დაიწყებს ერთი კიდითგან სოფლისა მეორე კიდემდე მეკომურთ ჩამოთვლას, სადაც ეპატიჟება მიცვალებულს: ნახსენებ მეკომურთ ძველსა და ახალს მიცვალებულთ (ეს საკვალდებულოა მომტირალ ქალმა იცოდეს) მომტირალი სათვითეოდ ჩამოუთვლის მიცვალებულს და ანუგეშებს უკანასკნელს, რომ იგინი (მიცვალებულნი) შესაფერ შემწეობას და სამსახურს გაუწევენ მას საიქიოს. მაგალითად, როდესაც მომტირალი რომელიმე მიცვალებულ მონადირეს ახსენებს, დაუმატებს ხოლმე, რომ იგი წინა მჯდომარე მიცვალებულს სანადირო წაიყვანს და არ მოაწყენს; სხვისი მიცვალებული ბავშვები საკუთარ შვილების მაგიერობას გაუწევენ; მოქეიფე მიცვალებული — აქეიფებს, ახალგაზდა მიცვალებული ქალი არშიყობით შეიყოლიებს და სხვა მრავალი. ამის გათავების შემდეგ მომტირალი დაიძახებს: „ვაი! შავო ჩემო ყოფავ! (დაბნელებულო ჩემო სიცოცხლევ) რომ შენ (მიცვალებულს) დღეის დღე მოგესწრო, რომ სოფელ ქვეყანას მოგაშორა, შენს ეკლესიას, თემს, ცოლ-შვილს, ძმებს, დებს და ნათესავებს.....

აქ მომტირალი კილოს იცვლის, სთხოვს ქრისტეს, იქ, საიქიოს, შენ დაისვას თავის სუფრაზედ, აქ კარგი (ბედნიერი) ფეხი დაატოებინოს, რომ სიკვდილი მის ოჯახში ამითი შესწყდეს და კიდევაც დააბოლოებს მომტირალი.

ამ ხნის განმავლობაში დანარჩენი ქალები მარტო ქვითინობენ და ამითი აძლევენ ბანს მოთქმით მომტირალს. გათავდა ქალების ტირილი; ახლა უნდა იტირონ მიცვალებული მამა-კაცებმა, რომელნიც აქნობამდი კარში იცდიან: მამა-კაცებსაც, როგორც დედა-კაცებს, წინ მიუძღვისთ «მომტირალი» მამა-კაცი. შედიან სახლში მიცვალებულთან; გარს შემოერტყმიან მიცვალებულს, ჭირისუფალს და ქალებს, რომელნიც აქვე სხედან, თუმცა ტირილი გაათავეს. მწყობრად დამდგარ მომტირალ კაცებს თავში უდგიათ მომტირალი მამა-კაცი. მომტირალი კაცი მოსთქვამს მსგავსად ზემოდ აღწერილის მომტირალი ქალისა; განსხვავება არის ტირილის დაწყებაში და ხელის ხმარებაში კაცებისა. მაგალითად მომტირალი კაცი დაიწყებს მოთქმას შემდეგ ნაირად: „ია-ვაი! ია-ვაი ბედს მიშვავა!“ (ვაი და ვაი ჩემს ბედსა!) ამასვე იმეორებენ ერთად და ერთის ხმით ყველა კაცები. ზემოდ მოყვანილ სიტყვების დროს მომტირალი და მის გვარად დანარჩენებიც ორივე ხელს ასწევენ, თითების ბოლოთი შუბლს შეეხებიან ორჯერ ზედ-ზედ, მერე ჩამოისობენ იქითაქეთ ყბებზე და ნიკაპის ბოლოს ხელის თითები ერთად მოხვდებიან. ასე გრძელდება ტირილის გათავებამდე (დაწვლილებითი აღწერა იხ. «დროება» 1879 წ. ჩემი წერილი). ეს იყო ძველი სვანური ტირილი, რომელიც უკანასკნელ წლებში სადადიანო სვანეთში რაჭა — ლეჩხუმის გავლენის ქვეშ და სადადიშკელიანო სვანეთში — სამეგრელოისა, პირველში სულ შეცვლილა რაჭულ — ლეჩხუმურად და უკანასკნელში ბევრად განსხვავებულა ძველი ტირილისაგან. დღეს ამ ტირილის ფორმას კაცი ხედავს მხოლოდ თავისუფალ სვანეთის საზოგადოებებში და განსაკუთრებით — უშველის საზოგადოებაში.

(შემდეგი იქნება)

ხვი და მათი შემოკლება იქ უფრო შესამჩნევ ანგარიშს წარმოადგენს, თუმცა ცოტაოდნად შემოკლება მათის რიცხვისა სხვა გუბერნიებშიც შესაძლოა.

შემდეგ ამისა რომ შევეხოთ ქუთაისის გლეხთა საქმეთათვის საგუბერნიო დაწესებულებას, აქაც მეტის-მეტი მიგვაჩნია ჩვენ შვიდი წევრი. ამ აზრზე ყველანი დაგვეთანხმებიან, თუ მხედველობაში მიიღებენ, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოში, რომელიც არჩევს ყოველგვარ სისხლის სამართლის და საძოქალაქო საქმეებს, როგორც მომრიგებელ მსაჯულებისაგან გადმოსულებს, ისე თვით ამ სასამართლოში დაწყებულ მძიმე საქმეებს და რომელიც გარდა ამისა გამიჯვნის საქმეებსაც აწარმოებს, — მხოლოდ ცხრა წევრი ჰყავს ყველა განყოფილებებში ერთად.

ერთის სიტყვით, ჩვენის აზრით, სრულებით საკმაო იქნება და გლეხების საქმისათვის უნებელი, რომ მომრიგებელ შუამავლების რიცხვი ისე შემცირდეს ქუთაისის გუბერნიაში, რომ თითო მაზრაში მხოლოდ თითო დარჩეს და საგუბერნიო დაწესებულებაში დარჩეს მხოლოდ სამი წევრი. ამ რიგად ქუთაისის გუბერნიის შვიდ მაზრაში (აქ არა ესთვლით სოხუმის და ბათუმის მაზრებს, სადაც მომრიგებელი შუამავლები არ არიან) ჩვიდმეტის მაგიერ დარჩება შვიდი მომრიგებელი შუამავალი და საგუბერნიო დაწესებულებაში შვიდი წევრის მაგიერ სამი წევრი. ამ თორძეტი გაუქმებული ადგილებიდგან დარჩება 30,800 მანათი. ამ ფულებით შეიძლება შვიდ ზემოხსენებულ მაზრაში და ქალაქს ქუთაისში დაინიშნოს რვა მომრიგებელ მსაჯულის თანაშემწენი, რომელნიც შეასრულებენ მომრიგებელ მსაჯულის მოვალეობას (заведывающіе мировыми участками). ძათი ჯამაგირი მათის შტატით, თუ თითოსათვის ვიანგარიშებთ 3,000 მანათს, შეადგენს 24,000 მანათს. დანარჩენი ფულით შეიძლება ქუთაისის ოლქის სასამართლოში დაწესდეს სამი წევრის ადგილი, რასაც მოუნდება 6,600 მანათი (თითო წევრს უნდა ჰქონდეს 2,200 მანათი).

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ მთავრობა მიაქცევს ნაჩვენებ წყაროს ყურადღებას და ამ საშუალებით დაუმატებს ახალ ადგილებს იმ შტატს, რომელიც უკვე განუზრახავს, მაშინ მართლ-მსაჯულება ერთი-ორად უფრო ჩქარი იქნება და ერთი-ორად უფრო ადვილად შეასრულებს თავის დანიშნულებას.

ს. ბ—ლი.

Შინაური ქრონიკა

═ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელს, ბ. ალექსანდრე ნათაძეს შეუდგენია სახელმძღვანელო წიგნი სახელად „ქართული წერაკითხვის სწავლებას მეთოდიური სახელმძღვანელო“ და აპირობს ამ მოკლეს ხანებში წარუდგინოს ეს სახელმძღვანელო «ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კომიტეტს» განსახილველად.

═ იმავე სკოლის მასწავლებელს ბ. რაქ. ჯაჯანაშვილს შეუდგენია სახელმძღვანელო წიგნი: «საარითმეტიკო სარგებელი» (Ариѳметическій задачникъ) და ამ მოკლეს ხანში დაიწყებს მის ბეჭდვასო.

═ ჩვენ ვნახეთ ერთის ჩვენი ახალგაზდა მასწავლებლისაგან, ალ. მირიანაშვილისაგან, ახლად შედგენილი ქართული მოძრავი ასოები, რომელნიც ამ დღეებში გამოვა გასასყიდლად. თუ სახეში ვიქონიებთ, რომ დღეს გასასყიდი ქართული მოძრავი ასოები აოსად არ იშოვებიან, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს ასოები დიდს შემწეობას მისცემენ ჩვენს ახალ-დაწყებით სკოლებს, მეტადრე მიტომ, რომ იგინი სრულიად ახალ მეთოდაზედ არიან შედგენილნი.

═ ჩვენ გეთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი განჩინება ბ. ბ. ბოგებაშვილისა და ლულაძის საქმის შესახებ დადგენილ იქმნა შემდეგ მედიატორეთაგან: ბბ. დიმ. ბაქრაძისა, გიორგი იოსელიანისა და ფას. ყიფიანისაგან. ეს უკანასკნელი ამორჩეულ იქმნა ბ. ბ. წერეთლის მაგივრად, რომელმაც უარი სთქვა მედიატორობაზე მოუცლელობის გამო.

═ იქნება ჩვენს მკითხველებს არ დავიწყებიათ 1883 წელს ივლისის 20-ს ედელოფლის-წყაროს ფოსტის განყოფილების გაცარცვის ამბავი. ქურდებმა გაიტანეს 15,700 მან. მთავრობამ დაატუსაღა ფოსტის მოხელენი: კორესპონდენციების მიმღები ცოლშვილით და ფოსტალიონი. ამ წლის გასული თებერვლის 18 პოლიციას მიუგნია მოპარული ფულისათვის დატუსაღებულის ფოსტალიონის და ოლის ჩაფრის სახლში. ალმოუჩენიათ ჯერ-ჯერობით 10,490 მან. და დანარჩენის ალმოჩენისაც იმედი აქვთო.

═ ავაზაკებისაგან სოხუმელებს მოსვენება არ გვაქვსო, გვწერს ჩვენი კორესპონდენტი. პატრონი არავინ გაგვიჩნდა. ბანქომ და ბილიარდმა ერთობ შეიყოლია ისინი, ვისიც რიგია ამ ავაზაკების თავისუფალ თარეშობას ყურადღება მიაქციოსო. თუ სადმე ქურდობა მოხდა, ჩვენი რიგისა და წესის დამცველნი ამ სიტყვებით გვმასპინძლობენ: — უკაცრავად, გვეძინაო... ძაი ნუგეშია!

═ ქუთაისიდამ გვწერენ: „დეკემბერი და იანვარი გაზაფხულის თვეებს მოგვაგონებდა. მშვენიერი მზიანი დღეები იდგა და თითქმის სიცხეც იყო, ასე რომ ხალხი სუბუქის ტანსამოსით გამოდიოდა და გაცივებისა არ ეშინოდა. ეს მარტი კი სწორედ მარტულად მოიქცა: რამოდენიმე დღეა, თოვლი მოდის და თუმცა ბევრს ბარაქას ვერ ატანს, მაგრამ მიწა კი ერთ ორ გოჯზედ დაჰფარა. ყვავილი ისევ მძვინვარებს ქუთაისში. უბანს ვერ ნახავ, რომ მისგან თავისუფალი იყოს. სამოქალაქო მმართებლობა ვითომ ყოველს ღონის-ძიებას ხმარობს, რომ ყვავილი თუ მოსპობით არა, შეაჩეროს მაინც. სანიტარული კომისიაც არსებობს. შერშლები კარიდგან კარზედ დადიან და უცრიან ხალხს ყვავილს, მაგრამ ზეითუნის ზეთით კი არა. დოქტორებიც ნახავენ ხოლმე ავადმყოფებს, მაგრამ ცოტა შორიდგან სინჯავენ, — ახლოს მისვლა „ბატონებს“ ეწყინებაო. შეიძლება, მართალიც იყოს.“

═ დ. ცხინვალიდამ გვწერენ: მდინარე ლიახვი ცხინვალელებს ცხვირ-წინ ჩამოუდის. ყველას კარგად მოეხსენება, რა ჩქარია ეს წყალი და რა მოვარდნაიცის განსაკუთრებით გაზაფხულობით. ამას წინად მოგლიჯა ოთხი ოჯახის სახლ-კარი, — ბეხრემაშვილებისა; ხუთ საჟენამდე და შემდეგ მიადგა ამირალაანთ უბანს, სადაც ექვს მოსახლემდეა და დღე-დღეზე იმუქრება ესენიც იმსხვერპლოს. ბორის მაზრის არხიტექტორი ხომ არა სთელის საჭიროდ, რამ ზომები მიიღოს ამ შემთხვევაში და მაშ — მოვალე ადგილობრივი პოლიცია-ლა დარჩენილა; მოსალოდნელ წყალ-დიდობას არ გადარჩებ გადმოუნგრეველი ხსენებული უბანიც და უპატრონობით რამდენიმე სული ხალხი შეიძლება დაიღუპოს!

ცხინვალშივე ჩასავალზედ, ზღუდრის ძირში ჩამოწოლილია, ისეც ვიწრო გზაში შედულებული თითქო ქვაკირით სამი ოთხ-კუთხი საჟენის ოდენა. ამის დაქცევა არაფერს არ შეადგენს და მგზავრს-კი გზას გაუხსნის. აქვე, ალმოსავლეთით ხიდს რომ გაივლით, მარცხნივ მხარეს, აგერ ხუთი წელიწადია, ბოგირი ჩაინგრა და ამის გაკეთებას არავინ ჰფიქრობს — ხალხი-კი ერთ მუხის-ხეზე გასვლით თავ-პირს იმტვრევს. ცხინვალის სისუფთავე ერთობ კოჭლობს და ჰრისტავისაგან შველას მოელის. ჰრისტავის საყურადღებოდ შევნიშნავ აგრეთვე, რომ მოვაჭრეთ სასწორებსა და თუნგებს (ღვინის-ზომა) „რევიზია“ ეჭირვებათ.

═ განჯისა და ერევნის სახალხო სკოლების დირექტორი მარტის 4-ს წასულა ნუხისა და არეშის მაზრებში სოფლების საკვლევად სკოლების დასახურავად. («ნოვ. ობოზრ.»).

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲝᲠᲘ, მარტის 2-ს. ᲓᲦᲔᲡ რვა წელიწად-ნახევარი შესრულდა, რაც ᲑᲝᲠᲘᲡ სამოქალაქო თვით-მმართველობა დაწესდა, რომლის თავად გახსნის დღიდგან დღეანდლამდე არის Ი. ᲔᲚᲘᲛᲘᲠᲖᲝᲕᲘ. ᲕᲘᲜᲪ ᲑᲝᲠᲘᲡ ქალაქის საქმეებს ჩაჰკვირვებია, უეჭველია შენიშნავდა, რომ Ი. ᲔᲚᲘᲛᲘᲠᲖᲝᲕᲘ თავის თავობის დროს ბევრსა სცდილობდა ქალაქისთვის, ბევრი საქმე მოიგო სამსჯავროებით, თუ ადმინისტრაციით, როგორც თვით მმართებლობასთან, ისრე კერძო პირებთან. მაგრამ თვით ქალაქის მოვალა-კი უჭირდებოდა და უფრო ხშირად მხოლოდ წევრებზედ იყო მინებებული ქალაქის ბედ-იღბალი. როცა ქალაქის თავს მივუთითებდით ქალაქის სხვა-და-სხვა ნაკლულევანებაზე — გვიპასუხებდა — ეგ წევრების საქმეაო. ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, რომ ქალაქის ანგარიშების წმიდად შენახვისათვის პატიოსნურად არ ეზრუნა მას.

წარსულს თებერვალში ახლად ამორჩეულმა ხმოსნებმა ფიცი მიიღეს. ᲔᲮᲚᲐ რიგზე თავის არჩევანია. ᲑᲔᲕᲠᲘ სხვა-და-სხვა აზრი ტრიალებს ხალხში. ᲖᲝᲒᲘ ᲘᲡ ასახელებს კანდიდატად და ᲖᲝᲒᲘ ᲘᲡᲐ. ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲜ ᲑᲝᲠᲘᲡ თავს წელიწადში 3000 მანეთი ჰქონდა ჯამაგირი. ᲔᲮᲚᲐ რაკი ქალაქს, ხიდის იჯარის ჩამორთმევით, შემოსავალი კარგად მოაკლდა, მეტი რა გზაა — მომავალი თავი შემცირებულს ჯამაგირზე უნდა დავსვათ. ᲘᲡ კი ყველას შეგნებული ექმნება, უეჭველია, რომ ჩვენი მომავალი თავი ისეთი უნდა იყვეს, რომ ქალაქის საქმეებს ჩქარა მიხედეს, თორემ ჩვენი საქმე ცუდად იქმნება, თავად „ქესატაღ“ არის ქალაქის ქისა და თუ ხამი კაცის ხელში ჩავარდა — ჭირზე ჭირი დაერთობა. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ თავმა ქალაქშიც უნდა იცოდეს გავლა, მარტო წერაც არ იქნება; ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ კარს გვადგა — ქალაქს სისუფთავე სჭირია. ᲩᲕᲔᲜ-ᲙᲘ არ უნდა მოველოდეთ იმ სენსა, რომელმაც შარშან ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ათასობით კაცი იმსხვერპლა? ᲩᲕᲔᲜ-ᲙᲘ არ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ჯანმრთელობისთვის? უნდა გაიწმინდოს ᲑᲝᲠᲘᲡ უსუფთაო ქუჩები თუ არა? უნდა გაიწმინდოს შეგალაანთ ორლობე თუ არა? უნდა გაიწმინდოს მთელი დახურული ბაზრის ბანები, თუ არა? და რაღა სათითაოდ ჩამოვთვალოთ, მთელს ᲑᲝᲠᲘᲡ მარჯვე თვალ-ყურის მგდებელი სჭირია, დახელოვნებულს პატრონს თხოულობს და, იმედს არ ვკარგავთ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲛᲝᲡᲜᲔᲑᲘᲪ მოგვიძებნიან ესეთს კაცს.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

„ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ“.

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 6-Ს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ᲤᲘᲪᲛᲝᲠᲘᲡᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, რომ ასხაბადისკენ მიმავალს რე-

სის რკინის გზაზე გაცხარებით მუშავობენო და მისის აზრით, რუსის ჯარს წინ არ წაუწევია. გრანვილმა ლორდების პალატაში განაცხადა, რომ რუსეთისა და ინგლისის შორის უკანასკნელად შეკრულის პირობის ძალით, არც რუსისა და არც ავღანის ჯარებს ნება არა აქვსთ მივიდენ ამ ადგილებამდე, რომელნიც სადავო მიწებზედ მდებარებენ. ეს ცნობანი დამყარებულნი არიან პეტერბურგში მყოფის ინგლისის ელჩის ტელეგრამებზედ, და გრანვილმა ელჩს მოსთხოვა განმარტება რუსეთის მმართებლობის შემდეგის შეხედულობისა ამ საგანზედ.

გლადსტონმა საზოგადოებათა პალატაში წაიკითხა ტელეგრამა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრისა, რომლითაც იცნობება, რომ რუსები არ დაიძვრიან მხოლოდ იმ პირობით, რომ ავღანელები წინ არ წამოიწევენ. რუსები წინ წაიწევენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაგალითად: თუ რომ პენჯეში არეულობა მოხდა. იმ კითხვაზე, აქვს ინგლისის მმართებლობას უფლება უკიდურეს შემთხვევათა გამოიმოქმედოს ავღანელების სახელით თუ არა, გლადსტონმა უპასუხა, რომ მორიგება რუსეთთან ორთავ მხარეს შეეხებაო. რუსებისაგან დაწერილის ადგილის თაობაზედ გლადსტონმა ახსნა, რომ თუმცა ეს ადგილი ავღანისტანის საკუთრებას შეადგენს, მაგრამ მან არ იკისრა მოსთხოვოს რუსებს დაუტოვონ ეს ადგილი იმ იმედით, რომ მოსამზღვრე კომისიისაგან განირჩევა ეს საქმეო. ტიცმორისმა სთქვა, რომ რუსებს დაწერილი აქვსთ პულიხათუმი და აკრაბათი და ავღანელებს—პენჯე; რომ შემდეგს წინ-წაწევაზედ ან ერთი მხრისა და ან მეორისა ჯერ არაფერი არ იციან. შემდეგ განმარტებათაგან სჩანს, რომ ავღანის ემირის თანხმობა რუსეთისა და ინგლისს შუა მორიგებაზედ ჯერ არ არის.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1885 წ.

გამომტხვარი შური რუსეთის ფქვილისა—	—1	ბირ.	5 ბ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—	—1	ბ.	$2^1/_2$
მეორისა— —	—1	ბ.	2 ბ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომტხვარი:			
პირველი ხარისხის	—1	ბ.	$4^1/_2$
მეორისა— —	—1	ბ.	3 ბ.
მესამისა— —	—1	ბ.	$2^1/_2$
ჯვარის-მამი შური:			
პირველი ხარის. ლავაში	1	ბ.	$4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში	1	ბ.	$3^1/_2$
მესამისა — —	—1	ბ.	3 ბ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა	—1	ბ.	8 ბ.
მეორისა— —	—1	ბ.	7 ბ.
სუკი . . .	—1	ბ.	15 ბ.
ცხვრის ხორცი	—1	ბ.	9 ბ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა	—1	ბ.	
მეორისა— —	—1	ბ.	

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო საშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ⅆ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისშო
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

დაუიდვა

ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდები, ჩოთქები, პენალები, კრანები, ნიჩბები, სურათები, საფხეკი, სახეხი, ჭადრაკი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10—4)

გამოვიდა და ისყიდება

ელისო

მოთხრობა ჩვენ-ლეთ ცხოვრებიდგან
თხზულება
ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობელოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. ჭრიჭინებს, ჭრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში „კავკასიის საზოგადოება საოფთიაკო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს. .Ц 19,485

(25—18)

გაუიდვა 5% სახელმწიფო მოგების ბილეთებისა

ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟის ოფიციალურ ფასად; ყიდვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დანარჩენი ფულიკი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თვითონ განსაზღვრავს—თითო თუმნობით, თუ ხუთ-ხუთ მანათობით. ვადაზე შემოსატანი გადასახადის დამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 დღე საშველავათოდ. ბეის ძიტემის დღიდან ყოველივე მოგება, რომელიც ხვდება ნაყიდს ბილეთს, სრულად ეკუთვნის მეიდგელს. კანტორის სასარგებლოდ ერთფერი არ გამოერიცხება მოგებს. ბილეთის მეიდგელს ეკუთვნის აგრეთვე ყოველივე მოსალოდნელი საკურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი სესხის ბილეთებისა—იანვრის 2-ს და ივლისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთებისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველ-წლივ შემდეგის პლანით: ერთი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათიანი. მოგები ბილეთის დაჭღეევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ლირს—ათი შაური ბილეთზე. **აგენტი ს. პეტერბურგის ბანკირის ფ. ა. ბლიმის კანტორისა: ი. კ. საულიდი ბათუმში.**

ქვემო-ხსენებული კანტორა ამ-ით ამოწმებს, რომ **აგენტი ი. კ. საულიდს**

მინდობილი აქვს ჰყიდოს კანტორის სახელით ხვედრი ფულის დაცალებით 5% სახელმწიფო მოგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოსვლიდან, თანახმად კანტორისაგან მიცემულის ვექილობისა.

(10—10) ბანკირის კანტორა ფ. ა. ბლიმისა ს. პეტერბურგში.

ПОДПИСКА

На политическую и литературную газету

ВОСТОКЪ

НА 1885 Г.

Газета ВОСТОКЪ служитъ органомъ православныхъ восточныхъ народовъ, выходитъ до двухъ разъ въ недѣлю.

Подписная цѣна: съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб. за $^1/_2$ года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за $^1/_2$ года 5 руб.

Подписка принимается: ВЪ МОСКВѢ, въ редакціи, у малаго камен. моста, Д. Полякова.

(10—5)

Доз. ценз. Тифлисъ, 7 Марта 1885 г. სტამბა არ. ალანდაძისა და ამხ. გამომტემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.